ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4609959

ნომერი: AR1695995

თარიღი : 22.07.2019

გაცემის თარიღი : 29.07.2019

გაცნობის თარიღი : 29.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია ძნელაძის 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 26 ივლისის NAR1695995 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში ცვლილების შეტანას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2019 წლის 23 ივლისის №4601566 და 2019 წლის 25

ივლისის №4605520 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლად განგესაზღვრათ გარკვეული ვადა. საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულყოფილად არ არის შევსებული. კერძოდ, გეგმებზე დაფიქსირებული კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობები და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობი ერთმანეთთან შეუსაბამოა. შესაბამისად, საჭიროა მოთხოვნის დაზუსტება ზემოაღნიშნულ ფართობთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტებულ იქნას საერთო ფართობის მაჩვენებელი.

ვინაიდან, სამსახურის 2019 წლის 25 ივლისის №4605520 გადაწყვეტილებას გაეცანით 2019 წლის 25 ივლისს, ხოლო განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2019 წლის 26 ივლისს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 04 (ოთხი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 03 (სამი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 03 (სამი) დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თქვენი 2019 წლის 22 ივლისის NAR1695995 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.